



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

09/07/2024



MES 7 24 0000835776

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 25. 06. 2024

სხდომის დაწყების დრო: 14:08 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:31 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (I – III საკითხებზე)

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (IV - VI საკითხებზე)

სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **დავით გეგეჭკორი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;

9. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
10. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები (სახელი, გვარი, პოზიცია)

1. ნინო შეყილაძე, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. **ვლადიმერ ღლონტი** - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. **თეონა ბერიძე** - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
3. **ივლით დიასამიძე** - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. **ემზარ მაკარაძე** - პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "თურქოლოგია" და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "თურქოლოგია" ხელმძღვანელი;
5. **ლილე თანდილავა** - პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "თურქოლოგია" და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "თურქოლოგია" ხელმძღვანელი;
6. **ზაზა შაშიკაძე** - პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "თურქოლოგია" ხელმძღვანელი;
7. **ლიანა ჭყონია** - ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "თურქოლოგია" ხელმძღვანელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. **თეა კორძაძე** - ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. **მაყვალა კოლუაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
3. **თამთა თურმანიძე** - ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
4. **მერაბ ჭუმბურიძე** - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

1. **გიორგი იაშვილი**, პროფესორი, დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი
2. **ნინო მგალობლიშვილი**, თსსა პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ნინო ღაღანიძე**, პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
4. **დავით ალექსიძე**, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
5. **მეგი წითლიძე**, პროფესორი, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი,
6. **თამარ მინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა:

1. დარეჯან გარდავაძე (I -II საკითხი);
2. კოსტას მანტზალოსი (III საკითხი);
3. თამარ ჩხეიძე (III საკითხი);
4. ნინო სილაგაძე (III საკითხი);
5. თამთა ცხოვრებაძე (III საკითხი);
6. სოსო გაზდელიანი (III საკითხი);
7. იორგ ობერგფელი (IV და V საკითხი);
8. თამარ ჩხეიძე (IV და V საკითხი);
9. ანა ჯაფარიძე (IV და V საკითხი);
10. თინათინ გაბრიჩიძე (IV და V საკითხი);
11. მირანდა ნონიკაშვილი (IV და V საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - თამარ ლომინაძემ, მე-4, მე-5 და მე-6 საკითხების განხილვისას სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა თუთბერიძე. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევა საბჭოს წევრს, ციური დურულს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობდა შუამდგომლობა დაწესებულების მხრიდან, კერძოდ, იგი შეეხებოდა, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადებას, იმ მიზეზით, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს ავტორიზაციის პროცესი. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა შუამდგომლობის გათვალისწინებით კენჭი უყარეს ახალ დღის წესრიგს და წარმოდგენილი შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმში (ოქმი №567425, 23/05/2024) ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით ცვლილების შეტანის საკითხი. კერძოდ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" - აკრედიტაციის ვადის ნაწილში - 2026 წლის 31 დეკემბრის ნაცვლად 2025 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის მიზნით, ვინაიდან კლასტერის ვადაა 2025 წლის 31 დეკემბერი. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა საბჭოს მიერ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმში (ოქმი №567425, 23/05/2024) ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ, დააყენა საკითხი, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი ორი საკითხის ერთად განხილვის თაობაზე, რაზეც თანხმობა მიიღო, როგორც ინსტიტუციისგან, ისე საბჭოს წევრებისაგან.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

პროგრამა 1

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - თურქოლოგია

2. საფეხური - ბაკალავრიატი

3. სწავლების ენა - ქართული

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თურქოლოგიაში

5. დეტალური სფეროს კოდი - 0231- ენის დაუფლება

პროგრამა 2

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - თურქოლოგია

2. საფეხური - მაგისტრატურა

3. სწავლების ენა - ქართული

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - თურქოლოგიის მაგისტრი

5. დეტალური სფეროს კოდი - 0231- ენის დაუფლება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხების ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს განსახილველ ორივე საკითხთან მიმართებით. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ორივე საკითხთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს განსახილველი საკითხების შესახებ.

პირველი და მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია ორივე საკითხის შესახებ.

ექსპერტმა, დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, დაწესებულის მიერ წარმოდგენილი

ანგარიშები და თანდართული დოკუმენტაცია რეალურად სრულ და ამომწურავ სურათს იძლეოდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ, ხოლო რაც შეეხება რჩევების გათვალისწინებას, აღნიშნულთან დაკავშირებით ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი დაწესებულების პოზიცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამას, საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიხედვით, აქვთ ერთნაირი სურათი აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. კერძოდ, პირველ, მე-2 და მე-4 სტანდარტებთან მიმართებით, პროგრამები შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო, მე-3 და მე-5 სტანდარტებთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.“ რაც შეეხება შესასრულებელ რეკომენდაციებს, ისინი კლასტერულია, ორივე პროგრამასთან მიმართებით. საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაცემულია 25 რეკომენდაცია, ხოლო სამაგისტროსთან მიმართებით - 24. ეს 24 რეკომენდაცია იდენტურია ორივე პროგრამასთან მიმართებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხშირად კლასტერული რეკომენდაციების ნაწილი ეხება მხოლოდ კლასტერში გაერთიანებულ რამდენიმე პროგრამას და შესაძლებელია სრულებითაც არ მიემართებოდეს კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამას, თუმცა, რადგან პროგრამები კლასტერულია, ხშირ შემთხვევაში გადაყვება კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამას. პირველი რეკომენდაცია არის კლასტერული და შემდეგი შინაარსის: „ინგლისური ენის ფილოლოგიის, გერმანული ენის ფილოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნების აღწერაში დაზუსტდეს, როგორი წვლილის შეტანა შეუძლია პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში ადგილობრივი მოცემულობის გათვალისწინებით“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რაკი გაცემული რეკომენდაცია საბაკალავრო პროგრამას მიემართებოდა, იგი გარკვეულწილად გადამუშავებულ იქნა. თუმცა, ბუნებრივია, სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნული რეკომენდაცია არ გათვალისწინებულა და ამ კუთხით არანაირი ცვლილება არ მომხდარა. მეორე რეკომენდაციაც კლასტერულია: „პროგრამების მიზნების შემუშავებისას გასათვალისწინებელია შრომის ბაზრის მოთხოვნები, რომელიც უნდა გაირკვეს კვალიფიციურად ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე“. წარმოდგენილი ინფორმაციით დგინდება, რომ ამ პროგრამების სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესშიც, შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი წარმოდგენილი იყო, თუმცა, ამის მიუხედავად, რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, ხელახლა განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ამ პროგრამების, საბაზრო ნიშნის იდენტიფიცირება/დაზუსტება და პროგრამის მიზნებისა და შედეგების მოდიფიცირება. შრომის ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ დამსაქმებლისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება კურსდამთავრებულის ტრანსფერული და ანალიტიკური უნარები, ინფორმაციის ანალიზის, სინთეზის უნარი. შემდეგი რეკომენდაციაა, „ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აამოქმედოს პროგრამის მიზნების შემუშავების ისეთი მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება, არამხოლოდ პროგრამების ხელმძღვანელების, არამედ აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა ამ პროცესში.“ აღნიშნული რეკომენდაციის პასუხად, რეკომენდაციების შესრულების სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა ინსტიტუციის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დამტკიცების და განვითარების წესი, რომელიც 2023 წლის 14 ივლისს იქნა გადამუშავებული. აღნიშნული წესით, განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მათ შორის მიზნების შედეგების შემუშავების პროცესში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული წესის მიხედვით, უზრუნველყოფილია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების სავალდებულო წესით ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში; აღნიშნული წესის ქმედუნარიანობას და ეფექტურობას პროგრამის მოქმედების სამომავლო განვითარება აჩვენებს. გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო შემდეგი შინაარსის: „კლასტერში გაერთიანებულ მიზნებში აისახოს თითოეული მათგანის ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასურველი იყო ეს

რეკომენდაცია რჩევის სახით ყოფილიყო გაცემული, რადგან რჩევით ხასიათს ატარებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი ინტერნაციონალიზაცია ვერ იქნებოდა, ის შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ საშუალება პროგრამის ეფექტური მოქმედების. თუმცა, მიუხედავად ამისა, ექსპერტის თქმით, გაცემული რეკომენდაცია მიღებულ იქნა მხედველობაში, პროგრამის მიზნებს დაემატა პარაგრაფი, სადაც ასახულია თურქოლოგიის ინსტერნაციონალიზაციის გამოცდილება და ეს გამოცდილება პროგრამას მდიდარი აქვს. არსებობს სხვადასხვა ტიპის კავშირი ქვეყნებს შორის, შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამას თავისი ინტერნაციონალიზაციის საკუთარი გამოცდილება აქვს წარმოჩენილი. შემდეგი რეკომენდაციის - „პროგრამის სწავლის შედეგები მეტად შეესაბამებოდეს დასაქმების სფეროების მოთხოვნებს” - შესრულების ნაწილში, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნების მოდიფიცირებამ, ბუნებრივია, გამოიწვია პროგრამების შედეგების გარკვეული მოდიფიცირება და ამ შედეგებში დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით დაიხვეწა გარკვეული ფორმულირებები და სხვაგვარად ჩამოყალიბდა. ასევე, პროგრამის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი, გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, კერძოდ „პროგრამის მოქნილობის უზრუნველსაყოფად და სტუდენტთა წინა ცოდნის გასათვალისწინებლად, ენის პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს არჩევითი სტატუსი” და „პრეტესტის საფუძველზე განსაზღვრული სტუდენტის ენობრივ ცოდნის დონის მიხედვით მოხდეს მის მიერ ამ ენების არჩევა და გავლა მისთვის შესაბამისი საფეხურიდან”, ამ რეკომენდაციის შესასრულებლად თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა ენის პრაქტიკული კურსები, საბაკალავრო პროგრამა A1.1 დან B2.2 და სამაგისტრო პროგრამამ C1 და C2 სასწავლო კურსები გადაიტანა არჩევით საგნების ბლოკში და შემოიღო პრეტესტი. ტესტირების საფუძველზე განისაზღვრება, რომელი საფეხურიდან აირჩევს სტუდენტი შესასწავლ ენას. რამდენად ეფექტური იქნება ცვლილება რეალურად პროგრამის განხორციელების პერიოდი აჩვენებს ამ შედეგს, აღნიშნა ექსპერტმა. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო შემდეგი შინაარსის: „ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო მოთხოვნების გათვალისწინებით, პრაქტიკული ენის კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობა, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე გაიზარდოს და არ იყოს კვირაში 6-8 საათზე ნაკლები”. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ეს ყოფილიყო საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაცია, და მაგისტრატურაში, სადაც კვლევით უნარებზე უფრო მეტი აქცენტია ვიდრე ენის პრაქტიკულ დაუფლებაზე, საკონტაქტო საათების ასეთი ზრდა არ ყოფილიყო მოთხოვნილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ ეს რეკომენდაციები შეასრულა ორივე საფეხურზე. რეკომენდაციასთან - „პროფესორ-მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა თვითონ განსაზღვრონ სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები თავიანთი კურსებისთვის, ამ უკანასკნელთა მიზნების შინაარსის და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით” - დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას წარმოდგენილი ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და განვითარების წესი, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებს აძლევს სწავლის მეთოდებისა და შეფასების ფორმების სარეკომენდაციო ჩამონათვალს. მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, ასეთი ფორმულირება, რომ ეს ჩამონათვალი პროფესორ-მასწავლებლებმა გამოიყენოს მაქსიმალურად, იმისათვის, რომ ეს ფორმები იყოს მრავალფეროვანი მათ კურსებში. დაწესებულებამ, საანგარიშო პერიოდში, გარკვეული სილაბუსები გადაამუშავა, წარმოადგინა განსხვავებული შეფასების ფორმები, შესაბამისად გაცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მიმართულია სტუდენტთა ან პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო პროცესში მეტი ჩართულობისკენ, და მათი საინფორმაციო უზრუნველყოფისკენ, წარმოდგენილი ანაგარიშით დგინდება, რომ იგი შესრულებულია, რადგან არაერთი ტრენინგი იქნა ჩატარებული პროფესორ-მასწავლებლებისთვის, არაერთი საინფორმაციო შეხვედრა იქნა გამართული სტუდენტებისათვის. ასევე, კლასტერულია ერთ-ერთი რეკომენდაცია: „სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური პროგრამების

შემუშავების პრაქტიკის დანერგვა”. აღნიშნულთან დაკავშირებით, აკრედიტაციის ექსპერტმა განმარტა, რომ 2022 წლის 14 ივლისის დადგენილებით, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი ინდივიდუალური საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერას ადგენს მიმართვიანობის შემთხვევაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ინსტიტუცია უზრუნველყოფს სასწავლო გეგმების მოდიფიცირებას სხვადასხვა საჭიროებების მქონეს სტუდენტებისთვის შეფასების სათანადო ფორმებისა და მოქნილი სწავლა-სწავლების მეთოდების შემუშავებით. მიუხედავად აღნიშნული წესის არსებობისა, საანგარშო პერიოდში რეკომენდაციის შესრულების მიზნით დამატებით კიდევ შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც უფრო დეტალურად განსაზღვრავს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სტუდენტთა ინფორმირებისა და მათი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინების მიზნით. ასევე, საბჭოს მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „ინსტიტუციამ უზრუნველყოს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები იწერებოდეს ქართულ ენაზე”. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დეტალური ინფორმაციის მიხედვით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, სხვა ენაზე შესრულებული საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომი არც უნახავთ, რეალურად საქმე ეხებოდა სილაბუსის ხარვეზს, სადაც სვეტში „საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის თემა” მითითებული იყო ქართული და ინგლისური ენები. რეალურად იგი იყო ტექნიკური შეცდომა და აღნიშნული უნდა ყოფილიყო უფრო რჩევითი ხასიათის, ვიდრე რეკომენდაცია, თუმცა გაცემული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, გადამუშავდა ფორმები და ტექნიკური შეცდომა გასწორებულია. ერთი რეკომენდაცია ეხება, განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო კვლევითი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების მიზნით, მათი პედაგოგიური დატვირთვის შემცირებას იმისათვის, რომ მათ ხარისხიანი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დრო რჩებოდეთ. როგორც წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ინსტიტუციასთან აფილირებული აკადემიური პერსონალის შრომითი დატვირთვა განისაზღვრა ისე რომ, შეიზღუდა იმ აკადემიური საათების რაოდენობა, რომელთა შესრულება მათ შეუძლიათ სავალდებულო სამუშაო დატვირთვის მიღმა შრომითი ანაზღაურების სახით და ეს სავალდებულო სამუშაო დატვირთვის კატეგორიების მიხედვით განსხვავებულია, მაგრამ თითოეული თავისი შრომის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოდენობაში უნდა ეტეოდეს. ანგარიშებში შედარებისთვის, წარმოდგენილია 2022-2023 წლის და 2023-2024 სასწავლო წლის დატვირთვები, იმის საილუსტრაციოდ, რომ ამის დარეგულირება მოხდა. საბჭოს მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და გადამუშავების წესი, სადაც აისახება კლასტერული აკრედიტაციის ჩარჩოში წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესები პროცედურები და თანმხლები დოკუმენტები”. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ანგარიშის მიხედვით ინსტიტუციამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიზნებისთვის განხორციელებული თვითშეფასების პროცესის და ანგარიშის მომზადების გზამკვლევის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფების წესისა და პირობების გათვალისწინებით და მათ შესაბამისად, შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომელიც ხელს შეუწყობს კლასტერული აკრედიტაციის ჩარჩოში წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესების ეფექტურად წარმართვას, მიიღო რა მხედველობაში 2022-2023 წლის საკუთარი გამოცდილება უკვე განხორციელებული კლასტერული აკრედიტაციის „ენის დაუფლების, ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგიის” კლასტერების პროცესში. მიღებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დამტკიცების და განვითარების წესში აღნიშნული ცვლილებების ინტეგრირება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროცესი მიმდინარეა და, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. ასევე აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციებიდან

არ დარჩენილა არც ერთი, რეაგირების გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ შვიდ წლიანი აკრედიტაციის პროცესში, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, წარსადგენი ექნებათ თვითშეფასების ანგარიში, მასში კიდევ უფრო გამოჩნდება შემდგომი რეაგირება იმ რჩევებზეც, რომელებიც მათ მიეცათ, ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიშები აჩვენებდა, რომ ორივე საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელების პროცესში განიცდის ცვლილებებს, ვითარდება რაც ბუნებრივი პროცესია და ამ პროცესს მონიტორინგს უწევს განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს და მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისათვის. ასევე აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ გაიზიარა და შეასრულა სრულად, რაც დასტურდება ექსპერტის პოზიციაში. ასევე, აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა იყო დაჯგუფებული ენის დაუფლების კლასტერში, სულ იყო რვა პროგრამა, რომლიდანაც ექვსი პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში უკვე განხილულ იქნა საბჭოს მიერ და საბჭომ მიიღო ცნობად რეკომენდაციების შესრულება. წინა წარმოდგენილ პროგრამებზე, ისევე როგორც განსახილველ ორ პროგრამაზე, გაცემული რეკომენდაციები ატარებდა კლასტერული ხასიათს. ასევე, აღნიშნა, რომ ეთანხმება იმ პათოსს, რომ პროგრამები ინდივიდუალურად გადის აკრედიტაციას და უმჯობესი იქნებოდა, რომ მეტად კონცენტრირებული იყოს კონკრეტულ პროგრამაზე რეკომენდაციები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ზედმიწევნით გაითავალისწინეს ყველა რეკომენდაცია და მიიჩნიეს რომ, ეს რეკომენდაციები მხოლოდ ხელს შეუწყობს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, არსებობის შემთხვევაში, წარმოედგინათ კითხვები და მოსაზრებები.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მას აინტერესებდა გარე შეფასების ნაწილში, გარდა აკრედიტაციისა, თურქოლოგიის პროგრამა რა მექანიზმებს იყენებდა ან გეგმავდა რომ გამოეყენებინა. კერძოდ მას აინტერესებდა, თუ აპირებს დაწესებულება ისარგებლოს პარტნიორ თურქული უნივერსიტეტების, რომელიც არც ისე მცირერიცხოვანი იქნება, პოტენციალით და სთხოვოს მათ საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება; მით უფრო მაშინ, როდესაც ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებში ამაზე იყო მითითება გაკეთებული და, ზოგადად, გაცემულია საკმაოდ ბევრი რჩევა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი რჩევების გათვალისწინების ნაწილი. ასევე, აღნიშნა, რომ რჩევების გარკვეული ნაწილი უფრო რეკომენდაციის ხასიათისაა, ვიდრე რჩევების და დაინტერესდა აღნიშნულის გათვალისწინების შესახებ დაწესებულების პოზიციით. საბჭოს წევრის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო, პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გაცემულ რჩევებსაც მიექცეს ყურადღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ გამოთქმულ რჩევებს ისეთივე ყურადღებით ეპყრობიან, როგორც რეკომენდაციების შესრულებას. რაც შეეხება გარე შეფასების ნაწილს, გაცემული რჩევის გათვალისწინებად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების წესში, რომელიც მიღებულ იქნა გასულ წელს კლასტერული აკრედიტაციის შედეგად, მიეთითა რომ, პროგრამის შემუშავების პროცესი ითვალისწინებს ორი სავალდებულო კოლეგიალურ შეფასებას, გარე ექსპერტების მიერ. დაწესებულებას აქვს განსაზღვრული კრიტერიუმები, აქვთ შედგენილი გარკვეული ფორმა, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იგზავნება კოლეგებთან და მათგან იღებს დაწესებულება შეფასებას. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რჩევის გათვალისწინება გარკვეულწილად იქცა აუცილებელ მოთხოვნად საუნივერსიტეტო დონეზე ყველა შემდგომი პროგრამისთვის, რომელიც იქნება მომავალში შემუშავებული. ასევე გარე შეფასების ნაწილში,

აკრედიტაციის შემდგომი შეფასება ითვალისწინებს სამ წლიანი ანგარიშების წარდგენას, სადაც იქნება წარმოდგენილი პროგრესი, რომელიც განიცადა პროგრამამ მათ შორის რჩევების შესრულების ნაწილში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:43

დასრულების დრო: 14:46

პროგრამა 1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, შესაბამის დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტის შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

პროგრამა 2

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, შესაბამის დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტის შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიის და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნების ისტორია და თეორია
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ისტორიის და თეორიის მაგისტრი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0213 სახვითი ხელოვნება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა დავით გეგეჭკორმა.

აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი გაიმართა, 2024 წლის 25 მარტს, ჩატარდა ოფიციალური განრიგის მიხედვით, გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორც ტოპ მენეჯმენტთან, ასევე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდეგ, ექსპერტებმა იმსჯელეს შეფასების დონეებზე. ხაზი გაუსვა, რომ ხუთი სტანდარტიდან ზოგიერთი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ზოგიერთი მათგანი, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.“ გაცემული იყო რამდენიმე რჩევა და რეკომენდაცია, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო იმის ნახვა, რომ დაწესებულება იზიარებდა რეკომენდაციების უმრავლესობას, ეს სასიამოვნო იყო იმიტომ რომ, მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამის გამუჯობებისკენ იყო მიმართული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ ჩხეიძემ დაამატა განსახილველ საკითხთან მიმართებით, რომ ისინი ერთსულოვანი იყვნენ იმ პოზიციაზე, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო განსახილველი პროგრამის განხორციელება ქუთაისის რეგიონში და მოხარულები იყვნენ იმ ფაქტით, რომ დაწესებულებამ გაიზიარა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი თეა კორძაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. ასევე, აღნიშნა, რომ გარე შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ მიუთითა, რომ მას ჰქონდა გარკვეული შეკითხვა ექსპერტთა ჯგუფთან, კერძოდ 1.4. რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომ არ იკვეთებოდა სამეცნიერო აპარატი მეთოდოლოგია და სხვა და სხვა, ეხმიანება 3.2 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას, სადაც საუბარია სამაგისტრო ნაშრომების შეფასებასთან დაკავშირებით, ამ კუთხითაც არის გარკვეული ხასიათის პრობლემები, ასევე კიდევ ერთი რჩევა, რომელიც კრავს ერთიან ციკლს, ეს არის 4.5 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რჩევა, ბიუჯეტში კვლევებზე მხოლოდ 2000 ლარია მითითებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ მიაჩნიათ ექსპერტებს, რომ რჩევის კატეგორიიდან უნდა ამოვიდეს და რეკომენდაციის ხასიათი მიეცეს, ვინაიდან ბიუჯეტის ასეთი მცირე ნაწილია გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე.

ექსპერტმა ნინო სილაგაძემ სამაგისტრო თემებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა შეჩერებული იყო, ვიზიტის დროისათვის, როდესაც იგი გადიოდა აკრედიტაციის პროცესს, დროებით სხვა პროგრამებზე იყვნენ გადასულები მაგისტრატურის სტუდენტები და, რადგანაც იმ დროისათვის პროგრამას არ ყავდა სტუდენტები, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომებიც არ იყო დაცული, გამომდინარე აქედან, გაცემული რეკომენდაცია იყო უფრო მეტად, სამომავლოდ განსახორციელებელი ქმედებისკენ მიმართული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა მიმდინარეობდა სხვა მიმართულებით, ხოლო აკრედიტაციის პროცესის განხორციელების შედეგად მიეცა სხვა მიმართულება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა გაკეთდა რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე, რადგან, ქუთაისში ამ მიმართულების კადრების დიდი დეფიციტია. გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომი ამ ეტაპისთვის არ არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ აღნიშნა, რომ 2012 წელს პირველად იქნა აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების თეორია“, რომელიც ფუნქციონირებდა 2023 წლამდე, შემდეგ შეჩერებულ იქნა და 2023 წლის იანვრიდან დაწესებულებამ დაიწყო ახალ პროგრამაზე მუშაობა, რომელიც მოვიდოდა შესაბამისობაში თანამედროვე კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დადგენილ წესებთან. და რადგანაც, წარმოდგენილ იქნა აკრედიტაციაზე ახალი პროგრამა, ექსპერტთა თხოვნით, უკვე შეჩერებულ, ძველი პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები იქნა წარდგენილი მათთვის. გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ახალი სამაგისტრო ნაშრომები იქნება შესაბამისობაში დადგენილ მოთხოვნებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამთა თურმანიძემ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი გარკვეულწილად ატარებდა ინტერდისციპლინარულ ხასიათს, შესაბამისად ვერ იქნებოდა აქცენტირება მხოლოდ სახვითი ხელოვნების მიმართულებაზე. რა თქმა უნდა მომავალში, პროგრამა თუ კი გაივლის აკრედიტაციას, სამაგისტრო ნაშრომები დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი იქნება. ასევე, ხაზი გაუსვა პროგრამის მნიშვნელობას რეგიონისთვის და არამარტო. ასევე აღნიშნა, რომ

პროგრამა მხარდაჭერილია, როგორც დაწესებულების, ასევე მთელი რეგიონის მხრიდან. ხაზი გაუსვა, რომ გაცემული რეკომენდაციები ემსახურება, პროგრამისა და ზოგადად სახვითი ხელოვნების გაძლიერებას.

საბჭოს წევრ გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ნინო ჭალაგანიძის კითხვის ერთი ნაწილი დაკავშირებული იყო ბიუჯეტთან, შესაბამისად სასურველი იქნებოდა მასზე პასუხი ყოფილიყო გაცემული. საბჭოს წევრს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, აინტერესებდა, ვისი ჩატარებული იყო აღნიშნული კვლევა და რამდენად რელევანტური იყო მისი გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის; პროგრამის არსებობა ნამდვილად საჭიროა, თუმცა საინტერესოა, პოტენციურად სად იქნება ამ პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების ადგილი/პოზიციები და რომელი კვლევა აჩვენებს ამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევა გაკეთებულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, რომელიც ჩართულები არიან ამ პროგრამის განვითარებაში, ასევე, აღნიშნა, რომ რამდენიმე წელია თანამშრომლობენ საზოგადოება „ლუმენტან“, რომლის ბაზაზე კეთდება ერთობლივი ბაზრის კვლევა დაწესებულების აკადემიური პროგრამებისთვის. ასევე, აღნიშნა რომ არაერთი დაწესებულებაა ქუთაისში, იმერეთის რეგიონში, სადაც უკვე არის მოთხოვნა ამ პროგრამის კურსდამთავრებულებებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბაია კოდუაშვილმა ხაზი გაუსვა პროგრამის მნიშვნელობას დაწესებულებისა და რეგიონისათვის და აღნიშნა, რომ ქუთაისში არის ძალიან ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო და სახელოვნებო დაწესებულება, ასევე ხელოვნებათმცოდნეები ძალიან საჭიროა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე ქუთაისში არის ისეთი დაწესებულებები, როგორიც არის ხელოვნების სკოლა, ფოლკლორის სასწავლებლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, ასევე, სამხატვრო სკოლა, რომელსაც აქვს ძალიან დიდი ტრადიციები ქალაქ ქუთაისში. კვლევამ აჩვენა, რომ სპეციალისტები ამ მიმართულებებით ან ძალიან ცოტაა, ან საკლებით არ არის. შესაბამისად, ჩატარებული კვლევა არის საფუძველი იმისა, რომ ეს სპეციალობა აუცილებლად არსებობდეს, მით უფრო მაშინ, როდესაც ქუთაისი წარმოადგენს კულტურის ცენტრს და საგანძურს ხელოვნების ნიმუშებისას, რომელსაც აუცილებლად სჭირდებათ შესწავლა. ასევე აღნიშნა, რომ განხორციელდა რამდენიმე პროექტი მათ შორის „ქარავან არტ ფორუმი“, რომელიც მიმართული არის ქუთაისში არსებული საგანძურის შესასწავლად. ასევე, აღნიშნა, რომ ამ სპეციალობის არსებობა აუცილებელია და არ არსებობს დასაქმების ადგილების დეფიციტი ქალაქსა თუ რეგიონში.

საბჭოს წევრ ელიზბარ ელიზბარაშვილს რამდენიმე კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან ასევე დაწესებულებასთან, მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ჩანაწერში აღნიშნულია, რომ „პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციისა და პროგრამის უნიკალურობის ძირითად საკითხებს, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე“. მას ექსპერტებისაგან აინტერესებდა, რამ განაპირობა „რეგიონულ დონეზე“ ხაზგასმა და რას ითვალისწინებდა იგი. მისი მეორე შეკითხვა ეხებოდა 1.4 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას, სადაც ჩანაწერია გაკეთებული, რომ „რეკომენდებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ორიენტაციის ხელახლა განსაზღვრა სტრუქტურისა და მისი კურსების მეშვეობით“. აღნიშნული ჩანაწერი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ პროგრამაში ბევრი რამ არის გადასაკეთებელი, მაშინ როდესაც, შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისია“. საბჭოს წევრს ექსპერტების მიმართ ჰქონდა კითხვა, აღნიშნულ შემთხვევაში შეფასება იყო შედარებით რბილი, თუ რეკომენდაცია ჟღერდა შედარებით მკაცრად. მას აღნიშნულთან დაკავშირებით აინტერესებდა, რეკომენდაციისა და შეფასების ურთიერთმიმართება. ასევე, კიდევ ერთი კითხვა მიემართებოდა ექსპერტებს, საბჭოს წევრს აინტერესებდა 1.5 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაცია რამდენად იყო სარეკომენდაციო ხასიათის, კერძოდ: „რეკომენდებულია, ქრონოლოგიურ პროცესში ნაკლები ინტერვალების გამოყენება“.

აღნიშნული რეკომენდაცია ეხება ერთ-ერთ სასწავლო კურსს. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაცია ითხოვს, რომ მოკლე ინტერვალით იქნას განხილული კონკრეტული საკითხი, შესაბამისად, კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო, ისტორიის უფრო ვიწრო ეტაპებად შესწავლა, მაშინ როდესაც დგინდება, რომ სასწავლო კურსში მაინც იფარება ისტორიის მოცემული ნაწილი; შესაბამისად, რამდენად წარმოადგენდა იგი რეკომენდაციას თავისი შინაარსით. ასევე, საბჭოს წევრს კითხვა ჰქონდა ინსტიტუციასთან სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა, ძველი სამაგისტრო ნაშრომების ფაფორმების დროს ინსტიტუციას ჰქონდა რეგულაციები. იგი დაინტერესდა თუ რის შეცვლას გეგმავდა დაწესებულება ან რა შეიცვალა იმისათვის, რომ ახალი პროგრამის პირობებში სამაგისტრო ნაშრომები იყოს ბევრად უკეთესად გაფორმებული მიღებული წესის შესაბამისად.

საერთაშორისო ექსპერტმა პირველ კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის საკითხი რეგიონალურ დონეზე იმიტომაც იყო ხაზგასმული, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ინტერნაციონალიზაციის საკითხი ორი კუთხით უნდა იყოს განხილული. პირველ რიგში ინტერნაციონალიზაცია იწყება ლოკალურ დონეზე, რაც იმას არ გულისხმობს, რომ მოხდეს საერთაშორისო კულტურისა და აქტივობების ქუთაისში შემოტანა, არამედ, უპირველესად, გულისხმობს, როგორც დაწესებულების ასევე ქუთაისის მნიშვნელობის საერთაშორისო ასპარეზზე მეტად წარმოჩენას. ამიტომაც იყო ხაზი გასმული რეგიონალურ კონტექსტში ინტერნაციონალიზაციაზე. რაც შეეხება მეორე კითხვას, საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძველი პროგრამა ექსპერტთა მოსაზრებით იყო საკმაოდ ფართოდ გაშლილი, მოიცავდა ბევრ სხვადასხვა მიმართულებას, რისი რეალურად ათვისებაც, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, იქნებოდა ძალიან რთული, შესაბამისად გაჩნდა ეს რეკომენდაცია, რომ კონცენტრაცია მომხდარიყო სახვით ხელოვნებაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინტერდისციპლინარული ბუნება, რომელიც ახასიათებდა ძველ პროგრამას, განსახილველ პროგრამასთან მიმართებითაც შესაძლებელია ინტერდისციპლინარული მიმართულების განვითარება, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია სახვით ხელოვნებაზე უფრო მეტად ფოკუსირება, რაზედაც არის კონცენტრირებული პროგრამა.

ექსპერტმა ნინო სილაგაძემ მესამე კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა 1.5 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას აღნიშნა, რომ ზოგადად პროგრამამ ინტერდისციპლინარული სახიდან მიიღო კონკრეტული მიმართულება, ანუ განიცადა ცვლილება. ეს ცვლილება განპირობებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნით, რადგან იმერეთის რეგიონს და ქუთაისს, მისი კულტურული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სჭირდებოდა კონკრეტული სპეციალისტები, კერძოდ, მონუმენტური არქიტექტურის, არქეოლოგიური მასალის მკვლევარები, სამხატვრო გალერეებში სახვითი ხელოვნების ნიმუშების მკვლევარები და ა.შ. აქ მუზეუმების კოლექციებს მოვლის, ტურისტული ინფრასტრუქტურის ორგანიზების, რეპრეზენტაციის საჭიროებაა. პროგრამა მატერიალურ კულტურაზე კონცენტრირდა, მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლაზე. ამდენად, ინტერდისციპლინარული პროგრამიდან პროგრამამ მიიღო ძალიან კონკრეტული და საქმიანი მიმართულება. შესაბამისად, ამას სჭირდებოდა დაკორექტირება. როგორც სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით მოხდა, რომ ახალი ტიპის სამაგისტრო ნაშრომების დაცვა უნდა მოხდეს, მომავალში, ზუსტად ასე მოხდეს პროგრამის სტრუქტურის დაკორექტირება, რომელიც გაჯერებული იყო ინტერდისციპლინური საგნებით და იყო გარკვეული წყვეტები. მაგალითად, ადრე ქრისტიანული პერიოდი შუა საუკუნეებიდან იყო ამოვარდნილი, ასევე იწყებდნენ ევროპის ხელოვნების შესწავლას უფრო გვიანი პერიოდიდან და ა.შ. გაცემული რეკომენდაცია ითვალისწინებს შემდეგს, რომ აუცილებლად უნდა უზრუნველყონ მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიის სწავლებისას ქრონოლოგიური უწყებობა, ყველა ეპოქა უნდა დაიფაროს, როდესაც ევროპულ ხელოვნებას ეხება საკითხი, გამომდინარე იქედან, რომ სპეციალისტი, რომელიც უნდა გახდეს პროგრამის კურსდამთავრებული, მან უნდა იცოდეს

ევროპული ხელოვნება ყველა ეპოქის მიმდინარე საუკუნის ჩათვლით, ასევე უნდა ერკვეოდეს ისლამურ ხელოვნებაში, რადგან, ქართულ კულტურას ძალიან დიდი კვეთა აქვს მასთან. ექსპერტმა დააზუსტა, რომ პრობლემა იყო არა მთელი ქრონოლოგიის დაფარვა, რომელსაც პროგრამა ფარავდა, არამედ გარკვეული წყვეტა ეპოქებს შორის, რაც განპირობებული იყო წინა პროგრამის ინტერდისციპლინარული ბუნებით.

საბჭოს წევრ თამარ ტუფინაშვილს კითხვა ჰქონდა როგორც ექსპერტებთან ასევე დაწესებულებასთან, პირველი კითხვა ეხებოდა ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევას, უცხო ენის დონესთან დაკავშირებით, გარკვეული მოთხოვნების შემუშავება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებისათვის. გამომდინარე იქედან, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ ითვალისწინებს უცხოური ენის ცოდნის დონის დადასტურებას, რეალურად შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას აბარებენ მხოლოდ სპეციალობაში, შესაბამისად, მას ექსპერტებისგან აინტერესებდა, რამდენად იყო უზრუნველყოფილი სილაბუსებში სამაგისტრო დონისთვის გათვალისწინებული უახლესი ლიტერატურის მიღწევადობა და არსებობა, რადგან სავალდებულო კურში მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურაა მითითებული. შესაბამისად, მას ასევე აინტერესებდა, თუ როგორ ებმის ეს უკანასკნელი ინტერნაციონალიზაციის საკითხს. ასევე, დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა, ერთ-ერთ რეკომენდაციასთან მიმათებით, კერძოდ, სადაც ექსპერტები მიუთითებენ, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ორიენტაცია და მისი სტრუქტურა უნდა გადაიხედოს, რაც შეეხება 4.1. კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას, იქ მითითებულია, რომ გარკვეული პერსონალი არ შეიძლება ჩაითვალოს განმახორციელებლად, რადგან ისინი უკაშირდებიან ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც არ არის დარგობრივი. და საუბარია, რომ პროგრამა უნდა გათავისუფლდეს ისეთი კომპონენტებისაგან, როგორიც არის მაგალითად, ლიტერატურის, კინოს, მუსიკის, კულტურის საკითხები და ა. შ., შესაბამისად, საბჭოს წევრს სურდა ექსპერტებისაგან დადასტურება, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა არსებული სტრუქტურით თუ გადის თავის შედეგებზე და თუ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. გარდა ამისა, საბჭოს წევრს აინტერესებდა სამაგისტრო საფეხურზე რომელი სასწავლო კურსის ფარგლებში ხდება კვლევითი უნარების გამომუშავება, რაც ხელს შეუწყობს მომავალში მაგისტრანტს, რომ წარმატებით დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ საბჭოს წევრის პირველ კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა უცხო ენის სწავლების დონეს აღნიშნა, რომ სამაგისტრო დონეზე დაწესებულებაში, თითქმის ყველა პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია უცხო ენის გამოცდა ან შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა, ამიტომაც იზიარებენ ისინი ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევას და პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, მიღების წინაპირობად განსაზღვრული იქნება უცხო ენის გამოცდა ან საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა. რაც შეეხება საბჭოს წევრის მეორე კითხვას, 1.4 კომპონენტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერაც იყო ხაზგასმული ის, რომ პროგრამას მანამდე ჰქონდა ინტერდისციპლინარული ხასიათი, ხოლო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა სახეცვლილია და ყურადღება მეტად გამახვილებულია სახვით ხელოვნებაზე, მაგრამ ყველა ის საგანი, რომელიც უშუალოდ და მჭიდროდ დაკავშირებული არ არის პროგრამასთან, როგორცაა ლიტერატურა, კინო თუ თეატრი, გადასულია არჩევით კურსებში. ხოლო, რაც შეეხება ძირითად სასწავლო კურსებს, თექვსმეტი ძირითადი სასწავლო კურსიდან ცხრა უშუალოდ სახვით ხელოვნებასთან არის დაკავშირებული, იქნება ეს კურსები მსოფლიო ხელოვნების თუ ქართული ხელოვნების მიმართულებით, იქნება ეს კრიტიკა, სახვითი ხელოვნების ანალიზი, თუ სხვა კურსები. ასევე, იმასთან დაკავშირებით თუ, რომელი სასწავლო კურსები ავითარებენ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის უნარებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს საკურსო ნაშრომს, რომელსაც მაგისტრანტი პირველი წლის ბოლოს ასრულებს, რაც არის ერთგვარი შესამზადებელი ეტაპი, იმისათვის რომ შეძლოს და შესაბამისი უნარჩვევები გამოიმუშოს, რომელი დაეხმარება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. გარდა ამისა,

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასევე ძირითად სასწავლო კურსებს შორის არის აკადემიური წერა, რომელიც ემსახურება წერითი თუ ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ასევე დაამატა, რომ თუ კი რაიმე არის ძირითად სასწავლო კურსებს შორის, რაც უშუალოდ არ შეეხება სახვით ხელოვნებას, ეს არის ის კურსები, რომელიც ეხმარება მაგისტრს დასაქმებასა თუ თანამედროვე შრომის ბაზარზე ადგილის მოპოვებაში, იქნება ეს ხელოვნების მენეჯმენტი, სამუზეუმო საქმე თუ სხვა სახის კურსები.

ექსპერტმა ნინო სილაგაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეცადა გამართული ყოფილიყო პროგრამა იმ მეთოდოლოგიით, რომელსაც იყენებენ სხვა უნივერსიტეტში მსგავს პროგრამებზე. მეთოდები, რომელიც ეხმარება მაგისტრანტს დაწეროს სამაგისტრო ნაშომი და სამომავლოდ შეიძინოს პროფესიული გამოცდილება, კონკრეტულად ის მეთოდებია, რომელსაც იყენებს ხელოვნებათმცოდნეები და სხვა დისციპლინის წარმომადგენლები, მაგალითად ისტორიული შედარება და ა.შ. კონკრეტულად პროგრამის მეთოდები არის ძეგლზე მუშაობის მეთოდი და მხატვრულ სტილური ანალიზის მეთოდი, რომელიც ყველა კურსში იყო ჩადებული, და ყველა ლექტორი, რომლებსაც კურსები მიყავთ, ამ მეთოდებში ამუშავებენ მაგისტრანტს. ექსპერტმა, ბაკალავრიატის საფეხურის არქონასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი სამომავლოდ ისურვებდა ბაკალავრიატის პროგრამის ჩამოყალიბებას, რომ წარმოდგენილი დისციპლინა სრულფასოვნად იქნეს ათვისებული. ასევე, აღნიშნა, რომ უდავოა ფაქტი, რომ მთლიანად იმერეთის რეგიონს ამ დარგის სპეციალისტები სჭირდებათ. ასევე, აღნიშნა, რომ დაკორექტირებული პროგრამით შესაძლებელი იქნება პროგრამის შედეგებზე გასვლა.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა მოეხდინა შედარება ქვეყანაში მოქმედი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებასთან, მას როგორც საერთაშორისო ექსპერტს ჰქონდა შესაძლებლობა დაენახა იდენტური პრობლემები და შესაბამისად გაეცა რეკომენდაციები და რჩევები. ასევე დაამატა უცხო ენის ცოდნის დონის საკითხს, რომ ეს იყო ის საკითხი, რომელზეც პირდაპირ გადიოდა ინტერნაციონალიზაცია. ასევე აღნიშნა, რომ ინგლისური ენა არის ის ენა, რომელიც პირდაპირ ადებს „კარებს“ და ძალიან კარგია პროფესიული ქსელების შესაქმნელად. ასევე, აღნიშნა, რომ სფერო ვითარდება ინგლისურად, შესაბამისად, ნებისმიერი მიმართულებით კომპეტენციების და ახალი ცოდნის გასაუმჯობესებლად და ასათვისებლად აუცილებელია წყაროების კითხვა ინგლისურ ენაზე, ეს არ ნიშნავს, რომ ინგლისურ ენაზე წარმართოს პროგრამა, თუმცა მნიშვნელოვანია ინგლისური ენის გარკვეული კომპეტენცია.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს კითხვა ჰქონდა სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სავალდებულო კურსების ლიტერატურაში ძირითადად, მითითებულია რუსულენოვანი, საბჭოთა პერიოდის, წიგნები და სახელმძღვანელოები, ზოგ შემთხვევაში, ასევე, კურსთან შეუსაბამო ლიტერატურით მიმდინარეობს სწავლება. მაგალითად, სასწავლო კურსებში „სახვითი ხელოვნების თეორია“, „ხელოვნების ისტორია“ და „მხატვრული კრიტიკის ისტორია“, „სახვით ხელოვნების პრინციპთა ტრანსფორმაცია კინოში“ და ა.შ. პრობლემები ამ კუთხით არის თითქმის ყველა სასწავლო კურსთან დაკავშირებით. აქვე აღნიშნა, ექსპერტების მიერ დასკვნაში გაკეთებულ ჩანაწერზე სადაც მიუთითებენ, რომ „სილაუსში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება სასწავლო სფეროს მიღწევებს და მოიცავს შესაბამის სფეროში არსებულ უახლოეს კვლევებს აკადემიური კურსების სპეციფიკისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გათალისწინებით“. შესაბამისად, მას კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, მსგავსი ლიტერატურით იყო თუ არა შესაძლებელი პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა თამთა თურმანიძემ ითხოვა კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, შესაბამისად მან აღნიშნა, რომ ბევრ სასწავლო კურსებში არ იყო რუსული სახელმძღვანელოები, გარდა ამისა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა უახლოესი ლიტერატურის ჩამონათვალი გაკეთებული, რომელიც უნდა იქნეს შეძენილი, შესაბამისად მოხდება განახლება ლიტერატურისა.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძემ დაამატა, რომ მის მიერ მითითებული კურსების სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო რუსულენოვანი, აქვე აღნიშნა, რომ ახალმა თაობამ რუსული ენა არ იცის ისე, რომ მათ შეძლონ რუსულენოვანი ლიტერატურიდან ცოდნის მიღება და მისი გამოყენება, ასევე, აღნიშნა, რომ სასწავლო კურს „ხელოვნების ისტორია და თეორიაში“ რელევანტური არ იყო რუსულენოვანი ლიტერატურით სწავლება.

ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ გამოცემის თარიღის მიხედვით ვერ მოხდება ლიტერატურის ვარგისიანობის განსჯა, რადგან არის ფუნდამენტური კვლევები და ნაშრომები, რომელიც გასულ საუკუნეშია გამოცემული. ისინი კვლავ ისტორიის ხელოვნების და მიმართულებით სტუდენტების ცოდნის შეძენის მთავარ საფუძვლად ითვლება. რაც შეეხება რუსულენოვან ლიტერატურას, მან აღნიშნა, რომ ექსპერტებსაც ჰქონდათ შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ კი პროგრამის წინაპირობა არ ითვალისწინებს კონკრეტული ენის ცოდნას, შესაბამისად, ამ უცხო ენაზე შეთავაზებული სასწავლო რესურსი არ შეიძლება ჩადებული იყოს პროგრამაში. დასკვნაში არის საუბარი, რომ ეს საკითხიც მოსაწესრიგებელი და გამოსასწორებელია.

ექსპერტმა ნინო სილაგაძემ დაამატა, რომ მათ მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია ლიტერატურასთან დაკავშირებით, კერძოდ, ის, რომ უცხოენოვანი ლიტერატურა უნდა ყოფილიყო დამხმარე მასალა, ხოლო ძირითად ლიტერატურაში უნდა ყოფილიყო მითითებული ქართულენოვანი ლიტერატურა ან გაკეთებულიყო რიდერები, თარგმანები და ა.შ. რომელსაც უზრუნველყოფდნენ ლექტორები. აღნიშნულის თაობაზე ინსტიტუციის მიერ პირობა იქნა დადებული. რაც შეეხება რუსულენოვან ლიტერატურას, დარგში ხშირად არის მსგავსი პრობლემა, რადგან დარგის ფუძემდებელი და ყველაზე ფუნდამენტური ნაშრომების ავტორი გიორგი ჩუბინაშვილი თავად წერდა რუსულ ენაზე ლიტერატურას. შესაბამისად, ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტისთვის სასწავლო მასალა იყოს ქართულენოვანი ან შესაბამისი რიდერებით მიწოდებული.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან საგამოცდო ბარიერებთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, დასკვნით გამოცდაში მინიმალურ ბარიერად განსაზღვრულია 15 ქულა, შუალედურ გამოცდების შეფასებებში - 18 ქულა. მას აინტერესებდა, რამდენად გამართლებული იყო, რომ 40 ქულიანი დასკვნითი გამოცდაში მინიმალური ზღვარი ყოფილიყო მხოლოდ 15 ქულა.

დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ აღნიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს ასეთი შეფასების სისტემა იყო მიღებული ფაკულტეტის მიერ, თუმცა, პერიოდულად ხდება შეფასების სისტემის გადახედვა, ამ ეტაპზეც პროგრამის ფარგლებშიც გადაიხედება და შესაძლებელია ახალი სახით იქნას წარმოდგენილი.

საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძეს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან 3.1. და 3.2. კომპონენტებთან გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით. მისი განმარტებით, 3.1. კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაში საუბარია იმაზე, რომ სტუდენტების გამოკითხვა იყო გადასახედი, კითხვარი გასაახლებელი და რელევანტური კითხვებით შესავსები. შესაბამისად, მას აინტერესებდა რას გულისხმობდა აღნიშნული რეკომენდაცია, რა აკლდა განსახილველ საკითხს და როგორ აისახა იგი პროგრამის ხარისხზე. ასევე, კითხვა ჰქონდა 3.2. კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, „სამაგისტრო ნაშრომის თითოეული კომპონენტი უნდა შეფასდეს ობიექტურად და ამისთვის უნდა მოხდეს შესაბამისი ხარისხის ნაშრომის შესრულება.“ მას აინტერესებდა, გაცემულ რეკომენდაციაში რაზე იყო საუბარი, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სტანდარტზე თუ მისი შეფასების წესზე.

ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ არაერთხელ იქნა აღნიშნული რომ ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ სამაგისტრო ნაშრომებს, რომელიც შესრულებული იყო ძველი პროგრამის ფარგლებში. ახალი პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი შეფასებული არ ყოფილა, ამიტომ მათი რეკომენდაცია ეხებოდა ნაშრომის შეფასების წესს, რომელიც ჯერ ვერ ამუშავდებოდა, რადგან არ იყო ახალი ნაშრომი შექმნილი, და შესაბამისად გაცემული

რეკომენდაცია ეხებოდა ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს, რომლის მიხედვით უნდა იყოს შესრულებული უკვე ახალი სამაგისტრო ნაშრომები, თუ კი პროგრამა აკრედიტაციას გაივლის. საბჭოს წევრ დიანა მჭედლიშვილს კითხვა ჰქონდა 3.1. რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც რჩევის სახითაც იყო გაცემული, კითხვარებთან დაკავშირებით, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფისგან აინტერესებდა დაზუსტება აღნიშნული იყო რჩევა თუ რეკომენდაცია, რომელი სახით უნდა ყოფილიყო საბოლოოდ. ექსპერტებმა დააზუსტეს, რომ ტექნიკურ ხარვეზთან იყო საქმე და რჩევების ნაწილში იყო გადატანილი მოცემული საკითხი.

საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ დასკვნის შესავალ ნაწილში შესაძლოა იყოს ტექნიკური ხარვეზი, რადგან პროგრამაზე მინიშნებულია, რომ არის 20 კრედიტიანი პროგრამა, დააზუსტა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ, რომ აკლდა ციფრი ერთიანი და იგი გასასწორებელი იქნებოდა. რადგან წარმოდგენილი პროგრამა იყო 120 კრედიტიანი.

საბჭოს თავმჯდომარეს თამარ ლომინაძეს კითხვა ჰქონდა ინსტიტუციასთან. მან აღნიშნა, რომ კურსებს არ გააჩნდა წინაპირობები, შესაბამისად, აინტერესებდა, რატომ იქნა მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება, რა მიზანს ემსახურებოდა იგი. ასევე განმარტა, რომ სილაბუსი „სამაგისტრო ნაშრომი“ მისი აზრით უფრო მეტად იყო ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შემუშავებულიყო სამაგისტრო ნაშრომი და რა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მისი შესრულებისას, არც ავტორი ყავდა წარმოდგენილ სილაბუსს და წინაპირობა აქაც არ იყო მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამთა თურმანიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იყო გაცემული რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება დაეთანხმა. მან ასევე განმარტა, ვინაიდან ისტორიულ კურსს მიჰყვებოდნენ ქრონოლოგიურად, ყოველი წინა სასწავლო კურსი თავის თავში ბუნებრივად მოიაზრებოდა წინაპირობად მომდევნო კურსისთვის და სწორედ ის იქნა მხედველობაში მიღებული კურიკულუმის რუკის აგების დროს. თუმცა აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული დაწესებულების მხრიდან და დაემატება წინაპირობები სასწავლო კურსებს. რაც შეეხება მეორე შეკითხვას, მასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს იყო უნივერსიტეტში მიღებული ფორმა, თუმცა თავისი შინაარსით უფრო დებულება იყო ვიდრე სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, შესაბამისად, შესაძლებელი იყო, რომ დებულებაში ყოფილიყო გადატანილი.

საბჭოს თავმჯდომარეს კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა რუსულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობა არ იყო არც ერთი უცხო ენა მით უფრო რუსული, აინტერესებდა რატომ არ იყო განსაზღვრული ეს საკითხი და შესაბამისად, ამ მოცემულობით საჭიროც კი იყო პროგრამაზე მომსვლელი პირების მიერ რუსული ენის ცოდნის დონის გამომჟღავნება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დარგში, ფუნდამენტური ნაშრომები ამ ეტაპისთვის არსებობს რუსულენოვანი, თუმცა უმეტესობა კურსებს თან ახლავს ლექტორების მიერ მომზადებული რიდერები, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტულ ლიტერატურაზე და უფრო ადაპტირებული და მისაღები ფორმით მიეწოდებათ სტუდენტებს. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში არჩევით კურსებში არის მითითებული უცხო ენა, მათ შორის რუსული, შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ამ მოცემულობის გამოყენების, რათა დაძლიონ რუსულენოვანი მასალა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. თუმცა, აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იყო ამ კუთხითაც ექსპერტების რეკომენდაციები და რჩევები.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან 1.4. ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, მისი თქმით, დასკვნაში აღნიშვნა, რომ მიზანშეწონილია ახალი პროგრამის მთავარი ხედვის ხელახლა ჩამოყალიბება და ა.შ. საკმაოდ მძიმე ნარატივია. შესაბამისად, მას აინტერესებდა ექსპერტებისაგან დადასტურება იმისა, თუ რამდენად გადიოდა პროგრამა სწავლის შედეგებზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ იქნებოდა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება დაეთანხმა ამ რეკომენდაციას და გამოთქვა მზაობა მის შესასრულებლად, შესაბამისად, ის ვერ ხედავდა გამოწვევას გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16: 15

დასრულების დრო: 16:47

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება. 1.4 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 1.5 კომპონენტთან მიმართებით დამატებით გასცა რეკომენდაცია და 1.5 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება და 1-ლი სტანდარტის შეფასება, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.1 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ გაცემული ერთ-ერთი რჩევა საბჭომ გადაიტანა რეკომენდაციებში და კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება და მე-2 სტანდარტის შეფასება, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიის და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ორი წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27²- ემუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების

ისტორიის და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

რეკომენდაციები:

1.4 რეკომენდებულია, განისაზღვროს სასწავლო კურსებისა და კვლევის კომპონენტების წინაპირობები, იმისათვის, რომ შეუფერხებლად და უფრო ეფექტურად განხორციელდეს პროგრესი პირველი სემესტრიდან მე-4 სემესტრამდე.

1.4 რეკომენდებულია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ორიენტაციის ხელახლა განსაზღვრა სტრუქტურისა და მისი კურსების შემუშავებით და მკაფიო ცენტრალური კვლევის ფოკუსის მიწოდებით სახვით ხელოვნებაში, თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებასა და კულტურაზე კონცენტრაციით.

1.5 რეკომენდებულია, შესავალი კურსების დახვეწა სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის სხვადასხვა დარგში უფრო სიღრმისეული ცოდნისა და უნარების განვითარების მიზნით, ასევე მსოფლიო და ქართული ხელოვნების სწავლება ისტორიული ეპოქების მიხედვით.

1.5 რეკომენდებულია, გადამუშავდეს ხელოვნების მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსის სილაბუსი ადეკვატური თემატიკისა და უახლესი ლიტერატურის მითითებით.

2.1 რეკომენდებულია, უცხო (ინგლისური) ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებით გარკვეული მოთხოვნების შემუშავება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებისათვის.

2.2 რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების გაუმჯობესება, იმისათვის, რომ წარმოადგინოს ვიზუალური ხელოვნების ობიექტების კვლევა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის თვალსაზრისით და მათი სპეციფიკური სამეცნიერო მეთოდით.

3.1 რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და პროგრამის სტუდენტებისათვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა, როგორც სემესტრული გაცვლითი პროგრამების, ასევე მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტების მიმართულებით.

3.2 რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის თითოეული კომპონენტი შეფასდეს ობიექტურად და საბოლოო შედეგი იყოს ნაშრომის ხარისხის შესაბამისი. ამასთან, ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მაგისტრის ხარისხის კანდიდატის საკვალიფიკაციო ნაშრომის შესავალ ნაწილს, გამოყენებული წყაროების შესაბამისობას და სამეცნიერო აპარატის სრულყოფას.

4.1 რეკომენდებულია, პროგრამის გაძლიერება სახვითი ხელოვნების შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა.

რჩევები:

1.2 სასურველია, უფრო ყოვლისმომცველი ანალიზის ჩატარება, რომელიც მიუთითებს პროფესიონალებზე მოთხოვნას და მიმდინარე ტენდენციებს.

2.1 სასურველია გათვალისწინებული იყოს რაიმე სახის წახალისებისა და ხელშეწყობის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული დარგების ბაკალავრების პროგრამით დაინტერესებას, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება ოთხი სემესტრის მანძილზე ვერ უზრუნველყოფს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საწყისი დონის და მისი საფუძვლების შესწავლას.

3.1 სასურველია სტუდენტების გამოკითხვების გადახედვა, არსებული კითხვარის განახლება: გამრავალფეროვნება და რელევანტური კითხვებით შევსება არსებული რეალობის გათვალისწინებით.

4.3 სასურველია, პერსონალის საერთაშორისო პროექტებში, ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობის წახალისება და ხელშეწყობა.

4.5 ვინაიდან ბიუჯეტში მხოლოდ 2000 ლარია განსაზღვრული სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, სასურველია აღნიშნულ ნაწილში ბიუჯეტის გაზრდა.

სხდომა დატოვა თამარ ლომინაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ. სხდომის თავმჯდომარეობა განაგრძო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩათუბერიძემ.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მხატვრული კერამიკა

2. საფეხური - მაგისტრატურა

3. სწავლების ენა - ინგლისური

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ კერამიკაში

5. დეტალური სფეროს კოდი - 0214 - გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა); 0214.1.2 მხატვრული კერამიკა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა გიორგი ლაღანიძემ.

აცილების საფუძველს წარმოადგენდა ოჯახის წევრის შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა ქვორუმის არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მარტში და იყო ძალიან პოზიტიური შთაბეჭდილება, თავად მხატვრული კერამიკის პროგრამა დიდი ხანია ხორციელდება ქართულ ენაზე აკადემიაში და ახლა შემოთავაზებულია ინგლისურენოვანი პროგრამა. შეფასების ფარგლებში იდენტიფიცირებული იყო საუკეთესო პრაქტიკები, მაგალითად ის, რომ პროფესორი თურქეთიდან იყო ჩართული კერამიკული მასალების კვლევაში, რომელიც იყენებდა უახლოეს მეთოდებს, ასევე, მისი წიგნი გამოქვეყნებული იყო აკადემიაში. სულ გაცემული იყო ხუთი რეკომენდაცია და ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებამ უკვე მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით. გაცემული იყო რჩევა პერსონალის ინგლისური ენის გაძლიერებასთან დაკავშირებით, თუმცა გაცემული რჩევა არ იყო დანახული პრობლემატურ საკითხად, ვინაიდან, იგი ეხებოდა საკამოდ მცირე ჯგუფს. ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ დაამატა თავმჯდომარის პოზიციას, რომ წარმოდგენილი პროგრამა არ იყო ზუსტი ანალოგი ქართულენოვანი საბაკალვარო პროგრამისა და აღნიშნა, რომ დაწესებულების

წარმომადგენლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, ის რომ აპლიკანტები არიან უცხო ქვეყნის წარმომადგენლები. ისინი ფოკუსირებული და ორიენტირებულები არიან უცხოენოვან და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ განსახილველი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა დიზაინის ფაკულტეტზე იყო პირველი ინგლისურენოვანი პროგრამა. წარმოდგენილი პროგრამა არ არის ქართულენოვანი პროგრამის ზუსტი ანალოგი. ბოლო წლების განმავლობაში დაწესებულებამ გააფართოვა უცხოელ სახელოვნებო უნივერსიტეტებთან ურთიერთობა, როგორც „ERAZMUS+“-ის ფარგლებში, ისე მის გარეთ. შესაბამისად, მათგან დიდი დაინტერესებიდან გამომდინარე, მიიღო დაწესებულებამ გადაწყვეტილება, რომ შეექმნა წარმოდგენილი პროგრამა.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს დიდი ხნის ისტორია და ტრადიცია ინტერნაციონალიზაციის მხრივ, მაგრამ მაშინ აკადემიის საერთაშორისო ენას წარმოადგენდა რუსული ენა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან დიდი დაინტერესების გამო. ოდიდგანვე აკადემიაში სწავლება ითვლებოდა უნივერსალურად და მისაბამად. დაწესებულებას მოსაზღვრე ქვეყნებიდან დიდი მომართვიანობა ჰქონდა, მაგრამ ინგლისურენოვანი პროგრამის არქონის გამო უწევდათ დაინტერესებული პირებისთვის უარის თქმა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებამ გადაწყვიტა, შეექმნა ინგლისურენოვანი პროგრამა. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამის რესურსი მათ გააჩნიათ.

საბჭს წევრ გოჩა თუთბერიძეს აინტერესებდა, ზოგადად დარგი, მეზობელ ქვეყნებში როგორ იყო განვითარებული, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული სკოლა ძალიან კარგად იყო ორგანიზებული, ჰქონდა უწყვეტი ტრადიციები, შესაბამისად, ამის შესახებ კარგად იციან იმ ქვეყნებმა, რომლებიც უწყვეტ კავშირში იყვნენ საქართველოსთან, რამაც მისი აზრით განაპირობა მათი მხრიდან ინტერესი. გარდა ამისა, თანამედროვე მხატვრები, რომლებიც ამ დარგში მუშაობენ, არიან აღიარებულები საერთაშორისო დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრ ელიზბარ ელიზბარაშვილს ჰქონდა კითხვა დაწესებულებასთან, თუ რატომ არ იყო საგნების ჩამონათვალში „კერამიკული მასალები“. მისი განმარტებით, ამ დარგისათვის საინტერესოა კერამიკული მასალების ცოდნა, როგორიცაა თიხა, ფაიფური და ა.შ.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არსებობდა საგანი, რომელიც თანმდევი იყო კომპოზიციის და მთავარი საგნის დამხმარე საგნად დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა ტექნოლოგიები. პროგრამაზე თემატურად არის დალაგებული კომპოზიციის სწავლება, საფეხურებრივად, იოლიდან რთულისკენ. მაგალითად, ეს არის სადიზაინო ხელოვნების გამოყენების კომპონენტი; არქიტექტურის ინტერიერის და ექსტერიერის ფუნქციიდან გამომდინარე; თანამედროვე საგამოფენო კერამიკა და ა.შ. თითოეულ მათგანს გააჩნია თანმდევი კომპონენტი, მინიმუმ ხუთ კრედიტიანი, რომელიც სწორედ იმ მასალას ასწავლის სტუდენტს, რომელიც გამოიყენება ამ სფეროში. მთავარი სასწავლო საფეხურის თანმდევი მასალის სრული ტექნოლოგიური მომსახურება არის ჩადებული დამხმარე საგნებში. მაგალითად, თუ კი ეს არის სერიული წარმოების კომპოზიციის შექმნა, მისი მეთოდოლოგია და ა.შ., მას ახლავს ტექნოლოგია, რომელიც მულტიპრიორებული ნამუშევრის გაკეთებას გულისხმობს. ამ უკანასკნელის გაკეთება გულისხმობს, ასევე, როგორც, მაგალითად, წითელ ტრადიციულ თიხას, ასევე ქაშანურს, ასევე ფაიფურს და ა.შ.

მან აღნიშნა, რომ შეიძლება არ იყო მკაფიოდ სათაურებში ეს ყოველივე გადმოცემული, თუმცა ყველა ის მასალა, რომელიც აუცილებელია, რომ იქნას გამოყენებული, დეტალურად არის განხილული სასწავლო პროგრამაში.

საბჭოს წევრ თამარ ტუფინაშვილს ჰქონდა კითხვა ექსპერტებთან, პირველი სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით, კერძოდ მან აღნიშნა, რომ მათში მითითებული იყო სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა, კერძოდ, გასაუბრება, პორტფოლიო, გამოცდა სპეც. კომპოზიციაში და ა.შ. შესაბამისად, მას აინტერესებდა, რამდენად თვლიდნენ ექსპერტები, რომ ზემოაღნიშნული წინაპირობები ნამდვილად ექვემდებარებოდა გადახედვას. ამის შესახებ საუბარი არ იყო დასკვნაში, არც რჩევა იყო გაცემული. საბჭოს წევრს აინტერესებდა, ზოგადად შეფასების სისტემა, და არა კრიტერიუმები და კომპონენტები, ხომ არ იყო მოსაყვანი შესაბამისობაში „N3“ ბრძანებასთან, რადგან ყველაფერი გაწერილი იყო პროცენტულად და ეს ყველა სილაბუსში იყო ასახული.

საბჭოს წევრს კიდევ ერთი კითხვა, ჰქონდა, კერძოდ, მას აინტერესებდა, რამდენად იყო პროგრამის სასწავლო კურსების შედეგები გაზომვადი ზმნებით გაწერილი. ვინაიდან, საქმე ეხებოდა სამაგისტრო პროგრამას, თითოეული შედეგის შეფასებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალში პროგრამის განვითარებისათვის. ასევე, იგივე შინაარსის კითხვა ჰქონდა საბჭოს წევრ დიანა მჭედლიშვილს და ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების აღწერისათვის გაზომვადი ზმნებით გამოსახვასთან დაკავშირებით, შესაბამისად გაერთიანდა ეს შეკითხვები.

პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პირველი სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსების წინაპირობებს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცვლილების საჭიროება ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა გარდა ინგლისურ ენასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა, ვინაიდან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით მსგავსი გამოცდილება უკვე არსებობდა. მეორე კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ საბჭოს წევრების გაერთიანებულ შეკითხვას, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გამოწვევები ამ მიმართულებით მას არ ახსენებოდა, შესაბამისად, საჭიროდ მიიჩნევდა ზუსტი ფორმულირებისთვის გადაეხედა თუ როგორ იყო მოცემული სწავლის შედეგები, თუმცა, მისი ზოგადი პოზიცია, იყო ის რომ ვერ ხედავდა გარკვეულ გამოწვევებს ამ კუთხით.

თამარ ტუფინაშვილმა დააზუსტა, რომ მისი კითხვა ეხებოდა იმას, რომ პროგრამაში პირდაპირ იყო მითითებული რეკვიზიტები და პირველი სემესტრის საგნებს უშუალოდ განსაზღვრული ჰქონდათ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები. ხოლო, მეორე კითხვა ეხებოდა, თუ რამდენად იყო სილაბუსებში სწავლის შედეგები გაწერილი გაზომვადი ზმნებით და ასევე, რამდენად იყო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილი გაზომვადი ზმნებით. ასევე საბჭოს წევრს კითხვა ჰქონდა, შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, ვინაიდან, იგი მიიჩნევდა, რომ მთლიანი სისტემა საჭიროებდა გადახედვას, ისევე როგორც წინაპირობები და შედეგების გაზომვადი ზმნების გაწერის კუთხით, რადგან შეფასების სისტემა შესაბამისობაში არ იყო „N3“ ბრძანებასთან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ საუბარი იყო იმაზე, რომ შეფასებები მოცემული იყო პროცენტებში, მაშინ როდესაც, „N3“ ბრძანების შესაბამისად, გამოიყენება ქულობრივი სისტემა.

ასევე, თამარ ტუფინაშვილს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო და დამატებით ლიტერატურასთან მიმართებით. მისი განმარტებით, სილაბუსებში რეალურად დიდი რაოდენობით ლიტერატურა იყო მოცემული, როგორც სავალდებულო ასევე დამხმარე და მათ შორის არ ასებობდა გამყოფი ზღვარი, შესაბამისად, მას აინტერესებდა, ასეთი მრავალფეროვანი ლიტერატურის პირობებში როგორ ახდენდა სტუდენტი იდენტიფიცირებას, რომელი იყო ძირითადი ლიტერატურა და რომელი დამატებითი. საბჭოს წევრს, ასევე, კითხვა ჰქონდა თუ როგორ იქნებოდა პროგრამაში ჩართული სტუდენტები უზრუნველყოფილი მასალებით. მას ასევე აინტერესებდა დარგის წარმომადგენლები თუ იყვნენ ჩართულები შეფასებაში, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომის და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ კითხვასთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა პირველი სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსების წინაპირობებს, აღნიშნა, რომ რასაკვირველია, სპეციალობის გამოცდა, რომელიც გულისხმობს პორტფოლიოს წარდგენას,

შემუშავებული აქვს თავისი შეფასების კრიტერიუმები. საბჭოს წერმა თამარ ტუფინაშვილმა დააზუსტა თავისი კითხვის შინაარსი და აღნიშნა, რომ მას აინტერესებდა პირველი სემესტრის კურსებს რატომ ჰქონდა პროგრამაზე მიღების წინაპირობები განსაზღვრული.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაზომვადობასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ სახელოვნებო პროგრამებისთვის არის ძალიან სენსიტიური საკითხი, გამომდინარე იქედან, რომ სპეციალობის სასწავლო კურსებში, განსხვავებით სხვა თეორიულ სასწავლო კურსებისა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაშრომის მხატვრულ ღირებულებას. რომელიც, ძალიან რთულად შესაფასებელია, განსხვავებით წერითი ნაშრომისაგან. აკადემიაში ტრადიციულად, საკურსო ნაშრომის შეფასება, ისევე, როგორ ყოველი სემესტრის შემდგომი შეფასება, ხდება გამოფენის საფუძველზე. ფაქტიურად, ხდება კომისიური შეფასება, იმ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. ეს არის სწორედ იმის პრევენცია, რომ შეფასება არ იყოს სუბიექტური. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრის მიერ დასმული კითხვა შეფასების გაზომვადობასთან მიმართებით, დააკავშირა ერთ-ერთ რეკომენდაციასთან, რომელიც ეხებოდა პროგრამის სწავლის შდეგების შეფასებას, სადაც ნათქვამი იყო, რომ უფრო მეტად სპეციფიკაზე მორგებული შეფასების გაკეთება მომხდარიყო. გამომდინარე იქედან, რომ, ჯგუფები იყო ძალიან მცირერიცხოვანი (5, 7, 10 სტუდენტი) პრაქტიკამ აჩვენა, რომ წინასწარ გაწერილი სამიზნე ნიშნულები არ მუშაობს. ამასთან დაკავშირებით, ვიზიტის დროსაც ისაუბრა დაწესებულებამ და დააფიქსირა, რომ აღნიშნული მიმართულებით ნაფიქრი აქვთ და დაწყებული აქვთ მუშაობა არა მხოლოდ განსახილველ პროგრამასთან, არამედ ყველა სახელოვნებო პროგრამასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას უკვე შეცვლილი აქვს მიდგომა და ეს გაცილებით უფრო ერგება სახელოვნებო სპეციფიკას. რაც შეეხება ლიტერატურასთან დაკავშირებულ კითხვას, მან აღნიშნა, რომ პრობლემას წარმოადგენდა ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირე, რაზედაც გასული წელი იმუშავა აკადემიამ და ქართულენოვანი ლიტერატურა დაბეჭდა.

რაც შეეხება საბჭოს წევრის შეკითხვას, იმასთან დაკავშირებით, რომ სილაბუსებში ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული დამატებითი და სავალდებულო ლიტერატურა, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მათ გარკვეულ უხერხულობას უქმნის ზოგადსაუნივერსიტეტო კომპონენტებსა და შემოქმედებითი სასწავლებლების კომპონენტებს შორის გარკვეული შეპირისპირების პრობლემა, რომელიც გამოწვეულია ელემენტარული განსხვავებებით, რომელიც უკავშირდება სააუდიტორიო სწავლებას და სტუდიურ სწავლებას. ეს არის ტიპოლოგიური განსხვავება, რაც საერთო სტანდარტებთან მორგების მიზნით საჭიროებს ძალისხმევას გაწევას. პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვა მზაობა, შეფასების სისტემაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შესახებ. რაც შეეხება, გაზომვადობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ შემოქმედებითი პროცესებში, ძალიან ხშირად სუბიექტური კომპონენტი ობიექტურთან ერთად ძალიან ძლიერად იყო წარმოდგენილი. თუმცა, ცდილობენ ბალანსის დაჭერას. რაც შეეხება ლიტერატურას, აღნიშნა, რომ არის სერიოზული პრობლემები ინგლისურენოვან ლიტერატურასთან მიმართებით, თუმცა დაწესებულება ეცადა სრულფასოვნად ყოფილიყო დაკმაყოფილებული ის მოთხოვნები, რაც ჩნდება სასწავლო პროცესის დროს. ლიტერატურის სიმრავლის გამო, მათ ვერ მოასწრეს მეთოდურად გამიჯვნა, ამიტომ მოხდა მათი მექანიკურად აღრიცხვა და მართლაც, არ არის ზღვარი გავლებული ძირითად და დამხმარე ლიტერატურას შორის. თუმცა ამის კონტროლი და რეგულირება არც ისე რთულია, როდესაც პედაგოგი უშალო კონტაქტის დროს მიუთითებს, თუ რომელი ლიტერატურაზე უნდა შეაჩერონ ყურადღება სტუდენტებმა. თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ აღნიშნული ზღვარის გაკეთებაც შესაძლებელია სილაბუსებში.

რაც შეეხება საბჭოს წევრის შეკითხვას, შეფასების პროცესში დარგის სპეციალისტების ჩართულობასთან დაკავშირებით (შეკითხვა ეხებოდა იმის დაზუსტებას, თუ ვინ იყო ჩართული შეფასების პროცესში, დამსაქმებლები თუ ზოგადად განმახორციელებელ დარგის სპეციალისტები), დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეფასების პროცესში ჩართულები არიან დარგის წამყვანი სპეციალისტები. ისინი ესწრებიან სამაგისტრო ნაშრომის

დაცვას. დამსაქმებლები კარნახობენ თუ რა ტიპის აქცენტები უნდა გაკეთდეს სასწავლო პროცესში, მაგალითად დარგის რომელი კომპონენტი უნდა იყოს უფრო რელიეფურად წარმოჩენილი. დამსაქმებლების ჩართულობა ვითარების და მეთოდის შეფასების კუთხით მუდმივ რეჟიმში არსებობდა, თუმცა, ქულობრივ შეფასებაში ისინი არ იღებდნენ მონაწილეობას. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, აღნიშნული მიზნით სათანადო კონსულტაციების გავლის თაობაზე. ასევე, განმარტა, რომ აღნიშნული მოითხოვს დამსაქმებელთა მხრიდან სასწავლო პროცესის კარგ ცოდნას, მიუხედავად მათი მაღალი კომპეტენციის ქონისა დარგის მიმართულებით, ამიტომ, ეს საჭიროებს სათანადო მომზადებას.

საბჭოს წევრ ელიზბარ ელიზბარაშვილს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მან აღნიშნა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ხშირად ქმნიდეს უხერხულობას მარეგულირებელი დოკუმენტები, შესაბამისად, მას აინტერესებდა სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება თეზისის ფორმით რამდენად იყო შესაძლებელი და როგორ ხერხდებოდა პრაქტიკაში. როგორც წესი, სახელოვნებო დარგში გამოფენით ან სხვა გზით შეიძლება იყოს დადასტურებული სტუდენტის კომპეტენცია. მას აინტერესებდა, ამის მიუხედავად, მაინც ხდება თუ არა თეზისის გაფორმება და რა ფორმით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახელოვნებო პროგრამის კლასტერული აკრედიტაციის პერიოდში, იყო ეს კითხვები დასმული, რადგან სამაგისტრო ნაშრომის დაცვა კერამიკაში, ფერწერაში თუ სხვა დარგში, გულისხმობდა შექმნილი პროდუქციის წარდგენას და მხოლოდ მის საჯაროდ პრეზენტაციას. თუმცა, ამ ეტაპზე სახელოვნებო დარგებში, არქიტექტურის პროგრამებშიც, არა მხოლოდ სამაგისტრო საფეხურზე, არამედ, საბაკალავროზეც, იწერება ნაშრომი. სამაგისტრო პროგრამაზე ეს არის კვლევითი ნაშრომი. აღნიშნული არ იყო მარტივი განსახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თუმცა ახალი მიდგომით სამაგისტრო ნაშრომების თეზისები კეთდება და კვლევები ტარდება.

საბჭოს წევრს, თამარ ტუფინაშვილს ჰქონდა კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ძალიან მაღალი ქულებით იცავენ აკადემიაში სამაგისტრო ნაშრომებს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, მთელი პროცესის განმავლობაში თუ ხდებოდა შესაბამისი უნარების განვითარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხსენებული ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომებს არა მხოლოდ წარმოდგენილ დარგში, არამედ ყველა სახელოვნებო პროგრამაში. დაწესებულებას ბევრი აქვს ნაფიქრი და ნამუშევარი იმის შესამოწმებლად, ხომ არ იყო შეფასების კრიტერიუმები დაბალი და ადვილად გადასალახი, მაგრამ, განსხვავება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებს შორის, ნათლად აჩვენებს, რომ სამაგისტრო პროგრამაზე ძალიან მიზანდასახულად მოდის ის ადამიანი, რომელსაც ამ სპეციალობაში უნდა შემოქმედებითი და პედაგოგიური უნარების გაღრმავება. ამასთან, აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებიდან რამდენიმე ადამიანი რჩება აკადემიაში და საბაკალავრო საფეხურზე აგრძელებს მუშაობას როგორც პედაგოგი. პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ ის უკვე წარსულია, როდესაც სამაგისტრო ნაშრომის მიზნებისათვის მხოლოდ მხატვრული ნამუშევარი კეთდებოდა და ესთეტიური და მხატვრული თვისებებით ფასდებოდა. მიდგომა შეიცვალა და სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს მინიმუმ ორი კომპონენტს, ვიზუალურს და თეზისს, რომელიც არის თეორიული კვლევითი კომპონენტის მატარებელი ნაშრომი. პროგრამაში ხაზგასმით არის დაყოფილი და გაკეთებულია მინიშნება თუ როგორი უნდა იყოს თითოეული კომპონენტი.

სხდომაზე გამოცხადდა საათობროშესვენება

დაწყების დრო: 17:41

დასრულების დრო: 18:23

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება. 1.2 კომპონენტთან მიმართებით გასცა 1 რეკომენდაცია, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; ასევე, 1.5 კომპონენტთან მიმართებით დამატებით გასცა 3 რეკომენდაცია, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასება განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულ ცვლილებებს არ გამოუწვევია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება და 1-ლი სტანდარტის შეფასება დარჩა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. საბჭომ, ასევე, დამატებითი რეკომენდაცია გასცა 2.4 კომპონენტთან მიმართებით, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება და მისი შეფასება დარჩა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27²- ემუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

რეკომენდაციები:

1.2 რეკომენდებულია, მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება, მათი გაზომვადობისა და მიღწევადობის უზრუნველყოფის მიზნით.

1.3 რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ისეთი სამიზნე ნიშნულები და მეთოდები, რომლებიც უფრო მეტად შესაფერისი იქნება მცირე ჯგუფებისთვის.

1.5 რეკომენდებულია, თანამედროვე ხელოვნების უფრო ზოგადი კურსების შეთავაზება.

1.5 რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსებში სწავლის შედეგები, ფორმულირება მოხდეს იმგვარად, რომ ზმნები იყოს გაზომვადი.

1.5 რეკომენდებულია, დაკორექტირდეს სასწავლო კურსების წინაპირობები.

1.5 რეკომენდებულია, სილაბუსებში გაიმიჯნოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

2.4 რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემა მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან.

4.3. რეკომენდებულია, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.

4.3 რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტი მოიცავდეს თანხებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის.

4.4. რეკომენდებულია, სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ინგლისურენოვანი ვერსიის შემუშავება და შესაბამისი სასწავლო მასალის ინგლისურ ენაზე უზრუნველყოფა.

4.5. რეკომენდებულია, ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ შემოქმედებით საქმიანობასთან, მეცნიერულ/კვლევით საქმიანობებთან, იყოს გამოვლენილი და დოკუმენტირებული პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში.

4.5 რეკომენდებულია, პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის ყველა წყარო, განმეორებადი თუ ერთჯერადი, მკაფიოდ იყოს დაფიქსირებული ბიუჯეტის დოკუმენტში.

რჩევები:

1.5 სასურველია, ინგლისური ენის სპეციალური კურსების შეთავაზება.

2.3. სასურველია, შემუშავდეს სპეციფიკური ფორმატები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ ერთმანეთის ნამუშევრების გაანალიზებასა და კომენტირებას.

2.3 მიზანშეწონილია შემოთავაზებული იყოს მეტი საერთაშორისო სემინარი და გაცვლის შესაძლებლობა.

3.1. სასურველია, ენის ცოდნის დონის ამაღლება და ტექნიკური სისტემის გაუმჯობესება.

4.3 მიზანშეწონილია, შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა და პერსონალის შეფასებების რეგულარულად ჩატარება.

4.4. სასურველია, სტუდენტების მეტი მხარდაჭერა სამუშაო მასალების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ფერწერა

2. საფეხური - ბაკალავრიატი

3. სწავლების ენა - ინგლისური

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ბაკალავრი ფერწერაში

5. დეტალური სფეროს კოდი - 0213 - სახვითი ხელოვნება, 0213.1.2 ფერწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა გიორგი ლაღანიძემ.

აცილების საფუძველს წარმოადგენდა ოჯახის წევრის დაწესებულებასთან თანამშრომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ

იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრმა დაადასტურა რომ ქვორუმი არის და საბჭოს სხდომას ესწრება როგორც ექსპერტები ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტ(ებ)ს წარმოედგინა(თ) მისი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან მიმართებით, მან აღნიშნა, რომ „ფერწერის“ პროგრამა არის მსგავსი ქართულენოვანი პროგრამისა, მნიშვნელოვანი განსხვავება არის პრაქტიკის ნაწილში, რომ ამ პროგრამაში მეტად იყო აქცენტი გაკეთებული საველე პრაქტიკაზე. ეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო მიჩნეული როგორც საუკეთესო პრაქტიკა, რადგან მას აქვს მეტი ფოკუსი, კულტურის შესწავლაზე. მეორე განსხვავება არის ის, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია, სხვა მხრივ პროგრამა არის ძალიან მსგავსი უკვე არსებული და აკრედიტებული ქართულენოვანი პროგრამისა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაცემული იყო ათი რეკომენდაცია და უმეტესი მათგანი იყო დაწესებულების მხრიდან გაზიარებული. ერთ-ერთი რეკომენდაცია, მისი თქმით, იყო განსაკუთრებით საყურადღებო, ეს შეეხებოდა უცხოელი სტუდენტების კონსულტირების მხრივ სერვისის არსებობას, რომელიც იყო ასევე კარგად მიღებული დაწესებულების მხრიდან. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა დაფუძნებულია ფიგურატიულ და ტექნოლოგიურ ტრადიციაზე, რაც, ექსპერტის აზრით, აღარ არის დამახასიათებელი საერთაშორისო კონტექსტისთვის. ამავდროულად, აღნიშნა, რომ პროგრამა იყო საკმაოდ ღია თანამედროვე ტექნიკების მიმართულებით, თუმცა, თანამედროვე ტენდენციებისგან მცირედით განსხვავდება ფიგურატიული და ტექნოლოგიურ ტრადიციაზე კონცენტრირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოტივაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება რომ „ფერწერის“ შემთხვევაში პროგრამა ყოფილიყო საბაკალავრო და არა სამაგისტრო, განაპირობა იმან, რომ მეტი მოთხოვნა იყო საბაკალავრო პროგრამაზე. „კერამიკის“ პროგრამისგან განსხვავებით, სადაც დიდი დაინტერესება მოდიოდა მეზობელი ქვეყნებიდან (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ირანი) ამ შემთხვევაში არაბული რეგიონის ქვეყნებიც იყვნენ დაინტერესებულები. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ იგეგმებოდა სამაგისტრო პროგრამის გაკეთება. მისი განმარტებით, საერთაშორისო ექსპერტმა სწორად აღნიშნა ის, რომ პროგრამა ფიგურატიულ მხატვრობაზე იყო ორიენტირებული. მისი თქმით, დაწესებულებამ, ქვეყანაში ბოლო 70 წლის მანძილზე არსებული მდგომარეობის პირობებში, შეინარჩუნა ეს ტრადიცია, მაშინ როდესაც დანარჩენი თავისუფალი სამყარო ბაზრის მოთხოვნებს იყო მორგებული და იქ პრაქტიკულად დაიკარგა ეს ტრადიცია. როდესაც 80-იანი წლებიდან დაბრუნდა და გაცხოველდა ინტერესი ფიგურატიული მხატვრობის მიმართ, აღმოჩნდა, რომ იქ აღარ იყო ძლიერი სკოლები ამ მიმართულებით. დაწესებულებას მისიაშიც აქვს გაცხადებული, რომ კონცეფცია სახელოვნებო განათლების დგას ძველი, კლასიკური ხელოვნების ტრადიციის შენარჩუნებასა და განვითარებაზე. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, ამავდროულად, თანამედროვე სახელოვნებო ბაზრის მოთხოვნა უნდა იყოს გათვალისწინებული და რომ ისინი კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან თანამედროვე მიდგომის ნაწილის გაზიარების საჭიროებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ალექსიძემ აღნიშნა, რომ ფიგურატიული ელემენტის სიძლიერე გამოკვეთილია საბაზისო ტექნიკის შესწავლის შემთხვევაში, თუმცა რაც შეეხება, კომპოზიციას, ასეთი შეზღუდვა არ არის ამ ნაწილში.

სტუდენტი ყველაფერში თავისუფალია და კომპოზიციური გადაწყვეტა მას თავისი ჩანაფიქრით, ნებისმიერი ტექნიკით შეუძლია. მაგრამ, დაწესებულება მიიჩნევს, რომ სამეტყველო ენა, მით უფრო საბაკალავრო საბაკალავრო დონეზე, აუცილებლად უნდა იყოს საბაზისო ტექნიკის შესწავლა. ამის გარეშე იდეის დაფიქსირება სასურათო სიბრტყეზე, მათი იდეების ვიზუალიზაცია ცოტა რთული იქნება. ამიტომ გარკვეული საბაზისო ნაწილი ჩათვლილია, რომ უნდა იქნეს შესწავლილი და შემდგომში უნდა იყოს გამოყენებული ეს უნარები სხვადასხვა შემოქმედებითი ნამუშევრების შესრულებისას. ქართულენოვან პროგრამაზე არსებული სადიპლომო ნამუშევრების დათვალიერება იძლევა კარგ სურათს, იმასთან დაკავშირებით, რომ მის შესრულებისას სტუდენტი სრულად თავისუფალია არჩევანში, ამიტომ ეს მოცემულობაც გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოდგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრ დავით გეგეჭკორს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა 3.1. კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია, სტუდენტურ სერვისებზე უცხოელი სტუდენტებისათვის, ასევე 4.4 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია, სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ინგლისურენოვანი ვერსიის შემუშავებაზე. მას აინტერესებდა აღნიშნული მხოლოდ წარმოდგენილ პროგრამას ეხებოდა თუ საუნივერსიტეტო დონეზე იდგა ამის საჭიროება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ეხება არა მხოლოდ განსახილველ პროგრამას, არამედ „კერამიკის“ პროგრამასაც. ასევე, აღნიშნა, რომ ადმინისტრაციასთან უკვე შეთანხმებულია კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება, რომელიც მოემსახურება უცხოენოვან სტუდენტებს. გარდა ამისა, დაწესებულებაში უკვე არსებობს ამ მიმართულებით ბაზა და უკვე მიმდინარეობს მუშაობა.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ რა პოზიცია და აზრიც გააჩნდა წინა განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებით, იგივე მოსაზრებები ჰქონდა აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით; კერძოდ, შეფასების სისტემასთან მიმართებით, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გამიჯვნასთან დაკავშირებით, მით უფრო ბაკალავრიატის საფეხურზე. ასევე, ჰქონდა კითხვა სწავლის შედეგების მიღწევის დონის განსაზღვრასთან, სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით, მას აინტერესებდა რამდენად გაზომვადი ზმნებით არის აღწერილი სასწავლო კურსების ფარგლებში და როგორი იყო სამიზნე ნიშნულები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის მრავალრიცხოვნობა და გამიჯვნის არარსებობა მათაც მიიჩნიეს პრობლემად და ეს გამოსწორებული იქნება, როგორც განსახილველ პროგრამაზე, ასევე უკვე განხილულ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით. განსახილველი პროგრამის სილაბუსებში დამატებით მოცემულია ბმულები, რადგან სახელმძღვანელოს როლს ასრულებს, მაგალითად, მუზეუმების ბმულები ან სახელოვნებო ბმულები და სხვ. რაც შეეხება სამიზნე ნიშნულების გაზომვადი ზმნებით გამოსახვის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ იგივე პრობლემა იდგა წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით, რაც უკვე განხილულ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, გაცემული რეკომენდაციებიც კი ერთი და იმავე ხასიათისაა. დაწესებულების მიერ სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ინტერვიუებზეც იქნა დაფიქსირებული, რომ მათ იდენტიფიცირებული აქვთ პრობლემა, რომ არ არის გამართლებული შეფასების კლასიკური სქემა სახელოვნებო პროგრამებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი ცდილობდნენ ხარვეზის პოვნას, მაგრამ ვერ მიაგნეს, გარდა იმისა, რომ გამოიკვეთა ე.წ. მცირე ჯგუფების პრობლემა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აქაც უკვე მოფიქრებული აქვთ ის სქემა თუ როგორ შეიძლება გადაიჭრას საკითხი, ასევე, რა თქმა უნდა, ყოველი სემესტრის შემდეგ იქნება გადახედილი და გაანალიზებული აღნიშნული საკითხი.

საბჭოს წევრ ციური დურულს კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან 4.1 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის აკადემიური პერსონალის დატვირთვის

გადანაწილება ისე, რომ პროგრამამ უზრუნველყოს შეუფერხებლად ფუნქციონირება.“ ამასთან, მეორე რეკომენდაციაც იყო გაცემული კერძოდ: „დაწესებულებამ უნდა იზრუნოს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, რათა შეუფერხებლად იქნას პროგრამა განხორციელებული“. საბჭოს წევრის განმარტებით, ორივე შემთხვევაში ხაზგასმულია ექსპერტთა მიერ „პროგრამის შეუფერხებელი განხორციელება“, შესაბამისად, მას აინტერესებდა, ხომ არ იდგა პროგრამის მდგრადობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ და, ასევე, აინტერესებდა, გაცემული რეკომენდაციების შესრულების გარეშე შესაძლებელი იყო თუ არა, პროგრამის შეუფერხებელი განხორციელება.

ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციის გაჩენა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ პერსონალი, რომელიც დასაქმებულია განსახილველ პროგრამაზე, სრული დატვირთვით მუშაობს ქართულენოვან პროგრამაშიც. მან აღნიშნა, რომ ქართულენოვანი პროგრამის აკრედიტაციის პროცესშიც იყო ჩართული ექსპერტთა ჯგუფის წევრების უმრავლესობა, ამდენად, ჰქონდათ დოკუმენტების დადარების შესაძლებლობა. ამდენად, ქართულენოვან პროგრამაში აკადემიური პერსონალის სრულად დატვირთვის პირობებში, ექსპერტთა ჯგუფმა გარკვეული პრობლემები დაინახა პერსონალის დატვირთვის შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით, რამაც გამოიწვია რეკომენდაციის გაცემა. ხოლო, მეორე რეკომენდაცია გულისხმობს, პროგრამაში ჩართული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციების განვითარებას და გაუმჯობესებას. ექსპერტის განმარტებით, საქმე ის არის რომ, ქართულენოვან პროგრამაზე დასაქმებულები არიან ამ დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა რესურსის გამოყენებაც ინგლისურენოვან პროგრამაზე ვერ ხერხდება ენის კომპეტენციების საკმარისად არ ფლობის გამო. თუმცა, არგუმენტირებულ პასუხში ასახა დაწესებულებამ, რომ ჩანაცვლებული იქნება რესურსი და ამ კუთხით მუშაობა უკვე დაიწყო.

პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა ექსპერტს. მან დაამატა, რომ თუ კი ქართულენოვან პროგრამაზე დასაქმებული პროფესორები ვერ მოახერხებენ ინგლისურენოვანი პროგრამის სათანადოდ უზრუნველყოფას, დაწესებულებაში არის უფრო მეტი რესურსი, რომ ჩაანაცვლონ ქართულენოვან პროგრამაზე პედაგოგები და ამით მისცენ მათ შესაძლებლობა, სრული დატვირთვით იმუშაონ ინგლისურენოვან პროგრამაზე. რაც შეეხება ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების საკითხს, აღნიშნა, რომ დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები პედაგოგებისა და აკადემიური პერსონალისთვის. ეს მათი სურვილიც იყო, რომ მსგავსი სახის ტრენინგები ყოფილიყო და გაუმჯობესებულიყო ინგლისური ენის კომპეტენციები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ივლისიდან ეს არის დაგეგმილი, ზის გრაფიკში და განხორციელდება პერმანენტულ რეჟიმში, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:51

დასრულების დრო: 19:07

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება. 1.2 კომპონენტთან მიმართებით გასცა 1 რეკომენდაცია, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; ასევე, 1.5 კომპონენტთან მიმართებით დამატებით გასცა 2 რეკომენდაცია და 1 რჩევა, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად

„მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასება განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულ ცვლილებებს არ გამოუწვევია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება და 1-ლი სტანდარტის შეფასება დარჩა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. საბჭომ, ასევე, დამატებითი რეკომენდაცია გასცა 2.4 კომპონენტთან მიმართებით, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოუწვევია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება და მისი შეფასება განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხის კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27²- ემუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფერწერის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

რეკომენდაციები:

1.2 რეკომენდებულია, მოხდეს სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობისა და მიღწევადობის უზრუნველყოფის მიზნით.

1.3 რეკომენდებულია, შეიმუშავოთ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და მეთოდები, რომლებიც უფრო შესაფერისი იქნება მცირე ჯგუფებისთვის;

1.4 რეკომენდებულია, უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალის ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში

1.5 უნდა შემუშავდეს და ჩამოყალიბდეს პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსი/აღწერა, რათა სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ პრაქტიკული კომპონენტის მოთხოვნების, შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

1.5 რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსებში სწავლის შედეგები, ფორმულირება მოხდეს იმგვარად, რომ ზმნები იყოს გაზომვადი.

1.5 რეკომენდებულია, სილაბუსებში გაიმიჯნოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

2.3 რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ფლობის ამადლება.

2.4 რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემა მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან.

3.1 ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის, არის სპეციალიზებული დამხმარე სერვისების შექმნა, რომელიც მორგებული იქნება მათ კონკრეტულ საჭიროებებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს ინგლისურენოვანი საორიენტაციო მასალების შექმნას, კონსულტაციის საათების დანიშვნას ინგლისური ენის მცოდნე პერსონალთან და მიზნობრივი რესურსების შექმნას ენასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ინგლისურენოვანი მასალები და ძირითად საკომუნიკაციო არხებზე (ვებგვერდსა და სოციალური მედიის პლატფორმებზე) განთავსებული შინაარსი ინგლისურ ენაზეც უნდა იყოს. თუ ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის მხარდაჭერა იქნება პრიორიტეტი, პროგრამა შეძლებს უკეთ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები და ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას აკადემიურ საზოგადოებაში, რაც, საერთო ჯამში, გააუმჯობესებს მათ აკადემიურ გამოცდილებას.

4.1 აკადემიამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის დატვირთვის გადანაწილება ისე, რომ პროგრამის პერსონალმა შეძლოს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელება;

4.1 რეკომენდებულია, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინგლისური ენის კომპეტენციების განვითარება და გაუმჯობესება, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისა და შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

4.3 აკადემიამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის დატვირთვის გადანაწილება ისე, რომ პროგრამის პერსონალმა შეძლოს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელება;

4.3 რეკომენდებულია, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინგლისური ენის კომპეტენციების განვითარება და გაუმჯობესება, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისა და შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

4.4 რეკომენდებულია, სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ინგლისურენოვანი ვერსიის შემუშავება და შესაბამისი სასწავლო მასალის ინგლისურ ენაზე უზრუნველყოფა.

4.5 ბიუჯეტი უნდა გამოიყოს პრაქტიკისა და სავლე სამუშაოებისათვის, გარე ლექციებისა და სამეცნიერო/კვლევისათვის.

4.5 საერთაშორისო და ადგილობრივ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა იყოს გამოვლენილი და დოკუმენტირებული პროგრამის ბიუჯეტში.

4.5 პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის ყველა წყარო, იქნება ეს განმეორებადი თუ ერთჯერადი, მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს ბიუჯეტის დოკუმენტში.

5.1 რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის პერსონალის ჩართულობა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

რჩევები:

1.1 მიზანშეწონილია, შეთავაზებული იქნეს სპეციალური კურსები ხელოვნების მენეჯმენტში, რაც ხელს შეუწყობს აკადემიურ კვლევებიდან პროფესიულ პრაქტიკაზე იოლად გადასვლას. ამას დამსაქმებლებმაც გაუსვეს ხაზი.

1.5 სასურველია, გადაიხედოს და დაკორექტირდეს სასწავლო კურსების წინაპირობები.

2.3. გაამყარეთ მეტი პარტნიორობა საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებთან, რათა გაზარდოთ სტუდენტების გაცვლის შესაძლებლობები.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა და პერსონალის შეფასებების რეგულარულად ჩატარება.

5.2. მიზანშეწონილია, პროგრამის განვითარებისთვის უფრო დეტალური და შინაარსზე ორიენტირებული გარე შეფასება.

6. მეექვსე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმში (ოქმი №567425, 23/05/2024) ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმში (ოქმი №567425, 23/05/2024) ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" - აკრედიტაციის ვადის ნაწილში - 2026 წლის 31 დეკემბრის ნაცვლად 2025 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის მიზნით, ვინაიდან, კლასტერის ვადაა 2025 წლის 31 დეკემბერი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, სურდათ თუ არა რაიმე საკითხის დაზუსტება.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 19:26

დასრულების დრო: 19:30

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმში (ოქმი №567425, 23/05/2024) ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით ცვლილების შეტანის საკითხი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" - აკრედიტაციის ვადის ნაწილში - 2026 წლის 31 დეკემბრის ნაცვლად, 2025 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმში (ოქმი №567425, 23/05/2024), გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" - აკრედიტაციის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 25 ივნისის 19:31 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

